განკარგულება:**გ-37.372133712**
თარიღი:**03/12/2021**

განკარგულება N60

3 დეკემბერი 2021 წელი

ქ.ოზურგეთი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.დ" ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის 2021 წლის 3 დეკემბრის №8 სხდომის ოქმი და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნას საკრებულოს წევრი ბექა თოიძე.

მუხლი 2. მიღებული განკარგულების თაობაზე ეცნობოს:

1. სსიპ „საჯარო სამსახურის ბიურო"-ს;

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის:ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს 2021 წლის 3 დეკემბრიდან.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი